განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

უსაფრთხოების სწავლებები, სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
11/07/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
29/08/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	უსაფრთხოების სწავლებები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

უსაფრთხოების სწავლებების (Security Studies) ახალი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა არის გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის მემკვიდრე.

გლობალური მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი (48 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი, 42 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები). პროგრამაში წარმოდგენილი ყველა სილაბუსი 6 კრედიტიანია და საკონტაქტო საათები განსაზღვრულია 28 საათით.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო კურსები, რომლებიც უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებს ასახავს დარგის უახლესი პრიორიტეტების გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 11 ივლისს შედგა აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტი მიმდინარეობდა განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით. ჩატარდა ინტერვიუები უსდ სკოლის ადმინისტრაციასთან, უსდ და სკოლის ხარისხის განვითარების სამსახურთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში.

რაც შეეხება მოსაზრებებს უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რეკომენდაციებთანთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით არ ეთანხმება ზოგიერთ რეკომენდაციას და წარმოადგენს არგუმენტაციას. კერძოდ, უსდ არ ეთანხმება რეკომენდაციებს შემდეგ ქვესტანდარტებში: 1.1.; 1.2 ; 2.2. (მეორე რეკომენდაცია); 2.3. (სამივე რეკომენდაცია)

აკრედიტაციის ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და აკრედიტაციის ჯგუფის წევრების საერთო მოსაზრებით, წარმოდგენილ დასკვნაში მოხდა უსდ არგუმენტების გათვალისწინება 1.1. ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან მიმართებით (გადატანილ იქნა რჩევაში) და მოხდა 2.2. ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაციის მოდიფიცირება.

კერძოდ, 1.1. ქვესტანდარტის რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამის მიზნების დეტალიზაციას. 1.2. ქვესტანდარტში ასევე გაცემულია რეკომენდაცია, რომ მოხდეს პროგრამის შედეგების დაკონკრეტება და პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკის მომზადება. 1.2. ქვესტანდარტის რეკომენდაციის შესრულების შემდეგ, პროგრამის მიზნების შედეგებთან შესაბამისობა გახდება გაზომვადი და აღქმადი. აღნიშნული რეკომენდაციის რჩევის სახით წარმოდგენამ შეცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შედეგიც, სტანდარტი 1 წარმოდგენილია სრული შესაბამისობით.

2.2. ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაცია გულისხმობდა პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში ორი დარგობრივი თეორიული სასწავლო კურსის დამატებას. უსდ მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება რეკომენდაციას და გამოთქვამს მზადყოფნას დამატებულ იქნას 1 სასწავლო კურსი არჩევით ბლოკში. აკრედიტაციის ჯგუფი რჩება იმავე მოსაზრებაზე, რომ წარმოდგენილი სახით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს თეორიული საფუძვლის შექმნას, რაც ქმნის პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში თეორიული სასწავლო კურსის დამატების აუცილებლობას, თუმცა რეკომენდაციამ განიცადა მოდიფიცირება და ორი სასწავლო კურსის ნაცვლად მოთხოვნილ იქნა ერთი თეორიული სასწავლო

კურსი, სადაც განხილული იქნება როგორც დარგის სფეციფიკა და როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული უსაფრთხოებების თეორიული საკითხები.

აკრედიტაციის ჯგუფის მიერ არ მოხდა სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით არგუმენტების გათვალისწინება. აღნიშნული რეკომენდაციების დეტალური ახსნა-განმარტება წარმოდგენილია რეკომენდაციების აღწერილობით ნაწილებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების დარგის სხვადასხვა ასპექტებს, გამოიკვეთოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის უსაფრთხოების დარგთან კავშირი და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩამოყალიბდეს 2 სასწავლო კურსად, სადაც ერთში აქცენტი გაკეთდება კვლევის დიზაინზე (სტუდენტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს), ხოლო მეორეში კვლევის მეთოდებზე (თვისებრივი მეთოდები და ცალკეული რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის სტატისტიკური ანალიზი და სხვ.). სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა შერჩეულ იქნას დარგის სპეციფიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილს დაემატოს დარგის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ისეთი თეორიული კურსი, რომელიც ახსნის უსაფრთხოების დარგის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ ხასიათს; ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების კავშირს (უსაფრთხოების დარგის ძირითადი თავისებურებები, უსაფრთხოების კვლევების სპეციფიკა, უსაფრთხოების სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო ასპექტები, უსაფრთხოების ეროვნული არქიტექტურა სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე, უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო ასპექტების ურთიერთკავშირი, უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები და სხვ.) და შექმნის თეორიულ წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა" სათაური და სილაბუსი გახდეს აშშ-ს თავდაცვის არქიტექტურის სპეციფიკაზე ორიენტირებული უსაფრთხოების კვლევევის დარგის სპეციფიკის, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით.

რეკომენდებულია, მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები" შეფასების არსებული მეთოდები სრულად შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას; იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლის სწავლის შედეგებში ხაზგასმულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, აქტივობები და შეფასების მეთოდები შეირჩეს ადეკვატურად.

რეკომენდებულია, სილაბუსებში შეირჩეს სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისი არაუნიფიცირებული შეფასების კომპონენტები და გაიწეროს ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები.

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის ის კულტურა, რაც დადგენილი აქვს დაწესებულებას, გაზიარებული იქნეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შესაბამისი შეფასებებისა თუ კვლევების შედეგები გაანალიზდეს და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, იმსჯელონ პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, დაგეგმონ შემდგომი ღონისძიებები პროგრამის განვითარების მიზნით და ამ ღონისძიებათა განხორციელებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის მიზნები გაიწეროს უფრო დეტალურად და ნათლად, პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით.

სასურველია, პროგრამის მიზნებში გამოკვეთილ იქნას ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასურველია, დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.

სასურველია, დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომ განახლების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათგან კონკრეტული მოსაზრებების მიღება.

სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას, სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.

სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით სწავლის შედეგების ეფექტური გაზომვადობისთვის.

სასურველია, ზეპირი გასაუბრების დეტალური თემატიკა და ინსტრუქცია მომზადდეს დროულად და განთავსდეს უსდ ვებ-გვერდზე.

სასურველია, დარგის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას მომიჯნავე პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსი/სასწავლო კურსები.

სასურველია, სასწავლო კურსი „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ ჩანაცვლდეს ახალი სასწავლო კურსით, რომელიც აქცენტს გააკეთებს NATO-ზე, როგორც უსაფრთხოების კოლექტიურ ორგანიზაციაზე და აშშ-ს როლზე NATO-ში, ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსი ჩამოყალიბდეს როგორც „აშშ საგარეო პოლიტიკა“ და გადავიდეს პროგრამის არჩევით ნაწილში.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან (კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომები და სხვ.) დაკავშირებული სასწავლო კურსები.

სასურველია, სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.

სასურველია, სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.

სასურველია, სილაბუსების ფორმატი უფრო მეტად ინფორმატიული ან/და კონკრეტული იყოს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დასაფარ თემატიკასთან მიმართებით.

სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად იქნას გამოხატული ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობა.

სასურველია, მაგისტრანტებთან მეტი მუშაობა და მათი ინფორმირება ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების საკითხებთან დაკავშირებით.

სასურველია, გარე შეფასების განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებამ მეტად გამოკვეთოს ამ შეფასების შედეგების გავლენა პროგრამის შინაარსზე და წარმოდგენილი იქნეს დასაბუთება, ექსპერტის რა რჩევები და რეკომენდაციები იქნა გაზიარებული ან არ გაზიარდა.

სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესეის დაგეგმვაში და მიიღოს მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები.

სასურველია, ერთის მხრივ, პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების მეტად სიღრმისეულად განხორციელება სწავლის სფეროსა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების მიზნით და მეორეს მხრივ, ამ კვლევების შედეგების ანალიტიკური მხარის გაძლიერება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აქცენტს აკეთებს უსაფრთხოების დარგის პრაქტიკულ ასპექტებზე. კერძოდ, უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, თავდაცვის სფეროს ორგანიზება, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული დამოუკიდებელი კვლევების წარმოება. პროგრამის მიზნებში ასევე ხაზგასმულია უსაფრთხოების საკითხების კავშირი საერთაშორისო პოლიტიკასთან. პროგრამის მიზნები მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, თუმცა მიზნები ფორმულირებულია მინიმალისტურად (არ არის დასახელებული ის კონკრეტული ასპექტები, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით) და არ არის ჩამოყალიბებული ნათლად კონკრეტულად რა ტიპის ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული პროგრამა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროგრამის მიზნების ფორმულირების უპირველესი ფუნქციაა პროგრამის სპეციფიკა ნათლად აუხსნას ყველა დაინტერესებულ პირს, **სასურველია,** პროგრამის მიზნები გაიწეროს უფრო დეტალურად და ნათლად პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით. პროგრამის მიზნები გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას. აღსანიშნავია, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა დეტალურად არის განმარტებული უსდ თვითშეფასების დოკუმენტის მიზნების ნაწილში, თუმცა ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე არ არის აქცენტი გაკეთებული პროგრამის მიზნებში. პროგრამის სწავლების ენის (ინგლისური) და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, **სასურველია,** პროგრამის მიზნებში გამოკვეთილ იქნას ინტერნაციონალიზაციის საკითხები. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება აკრედიტაციის ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუებით. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება უსდ ვებ-გვერდის საშუალებით, მისი აკრედიტაციის შემთხვევაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • უსდ თვითშეფასების ანგარიში • უსდ მისია • უსდ სტრატეგიული გეგმა 2020-2027 • შრომის ბაზრის კვლევა • მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა • დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში • უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, პროგრამის მიზნები გაიწეროს უფრო დეტალურად და ნათლად პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით.

სასურველია, პროგრამის მიზნებში გამოკვეთილ იქნას ინტერნაციონალიზაციის საკითხები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ცოდნისა და უნარების სახით.

პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნის ნაწილი ასახავს უსაფრთხოების სფეროს სხვადასხვა ფაქტორების ღრმა და სისტემურ ცოდნას, თავდაცვის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, უსაფრთხოების დარგის კომპლექსური ხასიათის გაცნობიერებას. აქცენტი კეთდება ეროვნულ და საერთაშორისო კონფლიქტებზე, როგორც უსაფრთხოების საფუძველზე. სწავლის შედეგების პირველი პუნქტი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ცოდნისა და საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილებებზე არსებულ კავშირებზე აკეთებს აქცენტს, რაც როგორც ჩანს მომიჯნავე პროგრამის (გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი მილევადი სამაგისტრო პროგრამა, რომლის საფუძველზეც მოხდა ახალი პროგრამის მომზადება) სწავლის შედეგებიდან არის პროგრამაში კოპირებული. წარმოდგენილ პროგრამაში უნდა მოხდეს აქცენტის გაკეთება არა ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკაზე, არამედ უსაფრთხოებაზე.

აღსანიშნავია, რომ შედეგებში გაწერილი დარგობრივი ცოდნა შესაბამისია პროგრამის სტრუქტურასთან, თუმცა არ არის დაკონკრეტებული უსაფრთხოების ასპექტები.

პროგრამის სწავლის შედეგების უნარების ნაწილი ასახავს როგორც კურსდამთავრებულის დარგობრივ უნარებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე ტრანსფერულ უნარებს

(კვლევითი, საკომუნიკაციო).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების დარგის სხვადასხვა ასპექტებს, გამოიკვეთოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის უსაფრთხოების დარგთან კავშირი და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და პროგრამის შინაარსთან. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

წარმოდგენილი პროგრამა ახალია.

ინტერვიუს პროცესში, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროგრამაში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილი არ არის განსაზღვრული, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია და არ ჰყავს კურსდამთავრებულები. აღნიშნული ნაწილის გამოკვეთა კი შედეგებში განხორციელდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლების საფუძველზე. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში უკვე არსებული პროგრამის საფუძველზე, რომლის ფარგლებში უსაფრთხოების სწავლებები კონცენტრაციის სახით ხორციელდებოდა, **სასურველია,** პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს განათლების შემდეგ საფეხურზე ან დასაქმდეს პროფესიით და დააკმაყოფილოს პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნები, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გვხვდება დასაქმების სავარაუდო სფეროების ჩამონათვალი (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე), თუმცა გამორჩენილია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, რასაც სააკრედიტაციო ჯგუფი ტექნიკურ შეცდომად მიიჩნევს. **სასურველია,** დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.

პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად უსდ-მა წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევა (მომზადებულია 2019 წ.), დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში, მილევადი მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა (აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალი თითქმის იდენტურია აღნიშნული მომიჯნავე პროგრამისა). წარმოდგენილი კვლევების მიხედვით, მთავარ პრიორიტეტებად დასახელებულია უსაფრთხოების დარგის კონკრეტული ასპექტების ცოდნა, სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირის გაცნობიერება დარგის კომპლექსური ხასითიდან გამომდინარე და ისეთი უნარები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და ანალიტიკური უნარი, უცხო ენაზე გამართული წერა და მეტყველება. აღნიშნული საკითხები ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. გარდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა, უსდ-მ პროგრამის სწავლის შედეგების დასახვეწად გამოიყენა ანალოგი უცხოური პროგრამების შედარებითი ანალიზი (ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტები).

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, თუმცა უსდ-მა წარმოადგინა მომიჯნავე პროგრამასთან (გლობალური მმართველობის და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა) დაკავშირებული კვლევები. აღნიშნული კვლევებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ჩტარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ უსდ-ის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. უსდ ახორციელებს პირდაპირ შეფასებას (სტუდენტთა მიერ მიღებული სემესტრული შეფასებები) და არაპირდაპირ შეფასებას სტრუქტუირებული და ნახევრად სტრუქტუირებული კითხვარების მეშვეობით (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვა). შეფასება ხდება გარკვეული პერიოდულობით, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. გარდა აღნიშნული გამოკითხვებისა, უსდ ახდენს სტუდენტებისა და პერსონალის კონფერენციებსა და სხვა აქტივობებში ჩართულობის ანალიზს,

პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასებას, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზს, ბაზრის კვლევას. შეფასების პროცესში ჩართულია ერთზე მეტი შემფასებელი და სხვადასხვა ტიპის შეფასებისთვის პასუხისმგებელია სხვადასხვა უწყება (ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარების სამსახური, პერსონალის მართვის სამსახური) და განსაზღვრულია სხვადასხვა ვადები (1,2,3,4 წელი). მიღებული მონაცემების საფუძველზე ხდება სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენა. ფუნქციონირებს პროგრამის განვითარების საბჭო. მიღებული შედეგების შეფასება ხდება სკოლის საბჭოზე, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს ცვლილებებისთვის. მომიჯნავე პროგრამის კვლევების საფუძველზე დასტურდება სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის გაუმჯობესებისთვის ცვლილებების გატარების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და მექანიზმები ადექვატურია და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენას.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობის შესაძლებლობა დასტურდება დაწესებულების შიდა რეგულაციებით, სადაც პროგრამის განვითარებისა და შეფასების მექანიზმებში განსაზღვრულია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვები. თუმცა სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ განხორციელებული ინტერვიუების შედეგების მიხედვით, ექსპრტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **სასურველია,** დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომ განახლების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათგან კონკრეტული მოსაზრებების მიღება.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ახალი პროგრამის სამიზნე ნიშნულების მატრიცა ეფუძნება მომიჯნავე პროგრამის სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებების ანალიზს (სასწავლო კურსების ჩამონათვალი თითქმის იდენტურია ახალ სასწავლო პროგრამაში). აღნიშნული მომიჯნავე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით უსდ-მა ასევე წარმოადგინა პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მატრიცა. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ უსდ ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგს და სამიზნე ნიშნულებთან დადარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მატრიცაში არ არის ასახული სამაგისტრო ნაშრომი, რაც სკოლის ხარისხის განვითარების სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, არის ტექნიკური ხარვეზი. **სასურველია,** უსდ-მა უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.

პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან განხორციელებულია ერთ დონიანი სისტემით. პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, ცალკეული სასწავლო კურსების მიზნებსა და შედეგებში დარგობრივი ცოდნის სხვადასხვა ასპექტების გადაცემა ასახულია როგორც „ცოდნა“, „ჩაღრმავებული ცოდნა, “„ღრმა და სისტემური ცოდნა“, რაც საჭიროებს დამატებით კვლევებს. ახალი პროგრამის ამუშავების შემდეგ და სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული ახალი მონაცემების ანალიზის შემდგომ, **სასურველია** უსდ-მა უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით სწავლის შედეგების ეფექტური გაზომვადობისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესს და იღებს საჭირო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. ასევე დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს პროგრამის სწავლს შედეგებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ თვითშეფასების ანგარიში

- შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში
- მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა
- მომიჯნავე პროგრამის კვლევები (მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა; ლექტორების კმაყოფილების ანგარიში; კურსდამთავრებულთა მიერ განათლების შეფასება).
- ანალოგი პროგრამების შედარებითი ანალიზი
- უსდ თანამშრომლის შესრულებული სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო
- პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები
- სამიზნე ნიშნულები
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაოს აღწერილობა
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების იმგვარად რეფორმულირება, რომ ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი მკაფიოდ აღწერდეს პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ უსაფრთხოების დარგის სხვადასხვა ასპექტებს, გამოიკვეთოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის უსაფრთხოების დარგთან კავშირი და პროგრამას დაერთოს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის ნაწილის განსაზღვრა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასურველია, დასაქმების სფეროების ჩამონათვალში აღნიშნულ იქნას განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა როგორც ეროვნულ, ასევე ქვეყნის ფარგლებს მიღმა უსდ-ებში.

სასურველია, დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის შემუშავებისა და შემდგომ განახლების პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათგან კონკრეტული მოსაზრებების მიღება.

სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს სააკრედიტაციო მასალების ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმოდგენა და სწავლის შედეგების მატრიცა წარმოდგენილ იქნას სამაგისტრო ნაშრომის გათვალისწინებით.

სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს სწავლის შედეგების გაზომვა 3 დონიანი სისტემით სწავლის შედეგების ეფექტური გაზომვადობისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის საფუძველზე. გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ინგლისურ ენაში წერითი გამოცდა და სპეციალობაში ინგლისურ ენაზე ზეპირი გამოცდა. ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენცია განისაზღვრება B2დონით, რაც განისაზღვრება საუნივერსიტეტო გამოცდის მინიმუმ 70%-იანი ბარიერის გადალახვით ან ბაკალავრატში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე ან საერთაშორისოდ აღიარებული ენის გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით. დაკონკრეტებულია საერთაშორისო სერთიფიკატები (IELTS, TOEFL, Cambridge English Exam) და აღნიშნული საერთაშორისო გამოცდების B2 დონის შესაბამისი ქულები (IELTS - 5.5-6.5; TOEFL 87-109 IBT, Cambridge English Exam -160- 179). გარდა ენობრივი კომპეტენციის დადასტურებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის მნიშვნელოვანია დარგობრივი ზეპირი გასაუბრების წარმატებით გავლა ინგლისურ ენაზე. მომიჯნავე პროგრამების შემთხვევაში უსდ-ს დაკონკრეტებული აქვს ზეპირი გასაუბრების თემატიკა და საკითხები. პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მსგავსი ინსტრუქცია მომზადდება წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაშიც. თუ

გავითვალისწინებთ, რომ პროგრამაზე ჩაბარება არ არის შეზღუდული დარგობრივი მახასიათებლებით, ხოლო უსაფრთხოების დარგი კომპლექსური და მულტიდისციპლინურია, ზეპირი გამოცდის თემატიკის დეტალიზაცია ხელს შეუწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ლოგიკურ დაკავშირებას. **სასურველია,** ზეპირი გასაუბრების დეტალური თემატიკა და ინსტრუქცია მომზადდეს დროულად და განთავსდეს უსდ ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია უსდ ვებგვერდის საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • უსდ ვებგვერდი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** ზეპირი გასაუბრების დეტალური თემატიკა და ინსტრუქცია მომზადდეს დროულად და განთავსდეს უსდ ვებგვერდზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აგებულია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დებულების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 120 ECTS. პროგრამის სავალდებულო ნაწილი განსაზღვრულია 78 კრედიტით (მათ შორის, 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი); პროგრამის არჩევითი ნაწილი განსაზღვრულია 42 კრედიტით. თანაფარდობა პროგრამის სავალდებულო და არჩევით ნაწილებს შორის ლოგიკურია და ადეკვატური დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. თავისუფალი არჩევითი კრედიტები პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული. დარგის სფეციფიკისა და კომპლექსურობის, ასევე უსდ-ში მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამების არსებობის სადაც უსაფრთხოების დარგის სპეციალისტი შესაძლოა დაინტერესდეს სხვადასხვა სასწავლო კურსებით ეკონომიკის, პოლიტეკონომიის, საერთაშორისო სამართლის და სხვ. მიმართულებით, **სასურველია,** დარგის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას მომიჯნავე პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსი/სასწავლო კურსები.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია 8 სასწავლო კურსით.

კვლევითი მეთოდოლოგიის შესწავლისთვის განკუთვნილია სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“, რომელიც აერთიანებს კვლევის დიზაინისა და მეთოდების შესწავლას. სილაბუსის მიხედვით, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები განხილულია მოკლედ, მხოლოდ ერთ სასწავლო კვირაში, ხოლო სასწავლო კურსის ლიტერატურა გამიზნულია მეთოდოლოგიის შესავალი კურსისთვის („Research methodology: a step-by-step guide for beginners“). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის წინაპირობა არ არის შეზღუდული დარგობრივად და პროგრამაზე შესაძლოა ჩააბაროს სტუდენტმა, რომელსაც საბაკალავრო დონეზე არ აქვს გავლილი მეთოდოლოგიური სასწავლო კურსი (აკადემიური წერა/კვლევის დიზაინი/კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში) და/ან არ აქვს გამოცდილება საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, მსგავსი სასწავლო კურსი გამართლებულია პროგრამის სტრუქტურაში, თუმცა არ არის საკმარისი სწავლების საფეხურის გათვალისწინებით. წარმოდგენილი სილაბუსი არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს (მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის დებულების თანახმად, სავალდებულოა სტუდენტმა გამოიყენოს APA სტილი, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი კი საერთოდ არ მოიცავს ლიტერატურის დამოწმების სტილის სწავლებას და სხვ). აღსანიშნავია, რომ კვლევის უნარი ხაზგასმულია პროგრამის სწავლის შედეგების უნარების ნაწილშიც და აკადემიური კვლევის წარმოების უნარზე აქცენტი კეთდება დამსაქმებლების გამოკითხვაშიც. უსდ-მა წარმოადგინა მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამაზე დაცული სამაგისტრო ნაშრომები, სადაც ასევე იკვეთება ნაშრომების მეთოდოლოგიური ნაწილის პრობლემურობა. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩამოყალიბდეს 2 სასწავლო კურსად, სადაც ერთში აქცენტი გაკეთდება კვლევის დიზაინზე (სტუდენტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს), ხოლო მეორეში კვლევის მეთოდებზე (თვისებრივი მეთოდები და ცალკეული რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის სტატისტიკური ანალიზი და სხვ.). სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა შერჩეულ იქნას დარგის სპეციფიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურის ძირითად ბლოკში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ მოაზრებულია პროგრამის ძირითად თეორიულ კურსად, რომელიც ქმნის წინაპირობას 4 სხვა დარგობრივი კურსისთვის, რაც აჩენს გარკვეულ შეკითხვებს დარგის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. დარგობრივი სასწავლო კურსები აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კონფლიქტებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, თავდაცვის დაგეგმვასა და რესურსების მართვაზე. ასევე უსაფრთხოება განხილულია აშშ საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის და ევროპული ინტეგრაციის ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსი მოცემულია არა პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილში, არამედ არჩევით ბლოკში („დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ეროვნული უსაფრთხოება“). პროგრამის

სტრუქტურის ძირითად ნაწილში ასევე არ გვხვდება საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული სასწავლო კურსები, მაშინ როდესაც პროგრამის არჩევით ბლოკში ვხვდებით საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ 2 სასწავლო კურსს. არჩევით ბლოკში ასევე ვხვდებით უსაფრთხოების სხვა ისეთი საინტერესო ასპექტების შემსწავლელ სასწავლო კურსებს, სადაც აქცენტი კეთდება არაკონვენციურ ომებსა და სპეციალურ ოპერაციებზე, ბირთვული გაუვრცელებლობაზე, სამხედრო სამრეწველო კომპლექსებზე. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა მსგავსი თემები არ არის ინტეგრირებული ძირითად სასწავლო კურსებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის წინაპირობების მიხედვით პროგრამაზე ჩაბარება არ არის შეზღუდული დარგობრივი მახასიათებლით, რაც კიდევ უფრო აუცილებელს ხდის პროგრამაში ისეთი თეორიული სასწავლო კურსის არსებობას, რომელიც მიმოიხილავს დარგის პრიორიტეტულ საკითხებს ამა თუ იმ საკითხის ცალკეულ სასწავლო კურსად შესწავლამდე. ასევე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აუცილებელია პროგრამის ძირითადი სასწავლო ბლოკი მოიცავდეს ეროვნული უსაფრთხოებების არქიტექტურის სპეციფიკას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროგრამის დასაქმების სფეროების ჩამონათვალში უპირატესი ადგილი უჭირავს ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილს დაემატოს დარგის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ისეთი თეორიული კურსი, რომელიც ახსნის უსაფრთხოების დარგის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ ხასიათს; ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კავშირს (უსაფრთხოების დარგის ძირითადი თავისებურებები, უსაფრთხოების კვლევების სპეციფიკა, უსაფრთხოების სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო ასპექტები, უსაფრთხოების ეროვნული არქიტექტურა სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე, უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო ასპექტების ურთიერთკავშირი, უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები და სხვ.) და შექმნის თეორიულ წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის.

აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები პროგრამაში შესაძლოა განხორციელდეს სტრუქტურაში სავალდებულო ბლოკის საკრედიტო მოცულობის გაზრდით ან სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სხვადასხვა მოცულობის კრედიტების მინიჭებით.

პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში ჩართულია 2 ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც აკეთებს ჩაღრმავებას კონკრეტულ საკითხებზე (ევროპული ინტეგრაციის უსაფრთხოების საკითხები; აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა). საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, დადებითად ვაფასებთ პროგრამის სტრუქტურის ამ ლოგიკას და გამართლებულად მიგვაჩნია პროგრამაში ევროინტეგრაციის განხილვა უსაფრთხოების ჭრილში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურაში არც ერთი სასწავლო კურსი არ არის ორიენტირებული NATO-ს შესწავლაზე. სასწავლო კურსის „ევროპული ინტეგრაციის უსაფრთხოების ასპექტები“ მხოლოდ ერთი თემა ეთმობა ნატოს. სასწავლო კურსი „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ შინაარსის მიხედვით აქცენტს აკეთებს აშშ საგარეო პოლიტიკაზე და არა აშშ თავდაცვის სისტემის სპეციფიკაზე და აშშ-ს, როგორც NATO-ს უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან აქტორზე, ნატოს თემატიკას ისევ მხოლოდ ერთი თემა ეძღვნება. სასწავლო კურსში „ომი, მშვიდობა და უსაფრთხოების პოლიტიკა“ ნატოს ასევე მოხსენიებულია როგორც ერთი თემის ერთ-ერთი საკითხი. **სასურველია,** სასწავლო კურსი „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ ჩანაცვლდეს ახალი სასწავლო კურსით, რომელიც აქცენტს გააკეთებს NATO-ზე, როგორც უსაფრთხოების კოლექტიურ ორგანიზაციაზე და აშშ-ს როლზე NATO-ში, ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსი ჩამოყალიბდეს როგორც „აშშ საგარეო პოლიტიკა“ და გადავიდეს პროგრამის არჩევით ნაწილში.

პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი წარმოდგენილია 14 არჩევითი საგნით, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა სემესტრში სწავლებისთვის. წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსები განიხილავს უსაფრთხოების სხვადასხვა საინტერესო ასპექტებს და მომიჯნავე დარგებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი თითქმის იდენტურია მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამისთვის. **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით,

როგორიცაა უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან (კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომები და სხვ.) დაკავშირებული სასწავლო კურსები.

ზემოთ აღწერილი პროგრამის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებით, პროგრამის ლოგიკა, სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა და სასწავლო კურსების წინაპირობებით დაკავშირება გახდება ადეკვატური და დარგის სპეციფიკასთან, სწავლების საფეხურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისი.

პროგრამის სტრუქტურის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების ცალკეულ სასწავლო კურსებად განხილვა და უსაფრთხოების უახლეს პრიორიტეტებზე აქცენტი შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. მაგალითად, პროგრამის არჩევით ბლოკში ვხვდებით ეკონომიკური და ენერგო უსაფრთხოების შემსწავლელ კურსებს, ასევე, ისეთ ექსკლუზიურ სასწავლო კურსს, როგორიცაა „სამხედრო სამრეწველო კომპლექსი“.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს.

განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული პირების ჩართულობა.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- პრერეკვიზიტების მატრიცა
- მომიჯნავე პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები
- შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ ჩამოყალიბდეს 2 სასწავლო კურსად, სადაც ერთში აქცენტი გაკეთდება კვლევის დიზაინზე (სტუდენტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის აუცილებელ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს), ხოლო მეორეში კვლევის მეთოდებზე (თვისებრივი მეთოდები და ცალკეული რაოდენობრივი მეთოდები, მათ შორის სტატისტიკური ანალიზი და სხვ.). სასწავლო კურსების შინაარსი და ლიტერატურა შერჩეულ იქნას დარგის სპეციფიკისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის ძირითად ნაწილს დაემატოს დარგის სპეციფიკისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ისეთი თეორიული კურსი, რომელიც ახსნის უსაფრთხოების დარგის კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ ხასიათს; ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების კავშირს (უსაფრთხოების დარგის ძირითადი თავისებურებები, უსაფრთხოების კვლევების სპეციფიკა, უსაფრთხოების სხვადასხვა სამხედრო და არასამხედრო ასპექტები, უსაფრთხოების ეროვნული არქიტექტურა სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითზე, უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო ასპექტების ურთიერთკავშირი, უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები და სხვ.) და შექმნის თეორიულ წინაპირობას სხვა სასწავლო კურსებისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დარგის მულტიდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას მომიჯნავე პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსი/სასწავლო კურსები.

სასურველია, სასწავლო კურსი „აშშ საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ ჩანაცვლდეს ახალი სასწავლო კურსით, რომელიც აქცენტს გააკეთებს NATO-ზე, როგორც უსაფრთხოების კოლექტიურ ორგანიზაციაზე და აშშ-ს როლზე NATO-ში, ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსი ჩამოყალიბდეს როგორც „აშშ საგარეო პოლიტიკა“ და გადავიდეს პროგრამის არჩევით ნაწილში.

სასურველია, პროგრამის სტრუქტურის არჩევითი საგნების ბლოკი გამდიდრდეს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი ისეთი საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებით, როგორიცაა უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან (კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომები და სხვ.) დაკავშირებული სასწავლო კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი საგნები წარმოდგენილია 8 სასწავლო კურსით, არჩევითი საგნები კი 14 სასწავლო კურსით, რომლებიც დაჯგუფებულია სემესტრულად (სემესტრი 1,2,3). სასწავლო კურსების სილაბუსები 19 კვირაზეა გათვლილი.

როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები სტანდარტულად 6 კრედიტიანია და გულისხმობს კვირაში 2 საკონტაქტო საათს (ლექცია/სემინარი). პროგრამა ახალია და სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა პროგრამის სპეციფიკისა და საგანმანათლებლო საფეხურის გათვალისწინებით ამ ეტაპზე არ აჩენს შეკითხვებს. პროგრამის პრაქტიკაში ამუშავებისა და შედეგების გაზომვადობის პროცესში შესაძლოა გამოიკვეთოს ახალი ტენდენციები. **სასურველია,** სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად.

ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სილაბუსის შინაარსს და საგანმანათლებლო საფეხურს.

უსდ-ს აქვს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების სწავლის შედეგებში მრავლობითად გვხვდება გარკვეული საკითხების ღრმა და სისტემური სწავლება. პროგრამა ახალია და ამა თუ იმ შედეგზე გასვლის დადასტურება უნდა მოხდეს სასწავლო კურსების შეფასების პროცესში. **სასურველია,** სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე.

სასწავლო კურსის „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ სილაბუსის მიხედვით, ძირითადი შინაარსობრივი აქცენტი კეთდება აშშ საგარეო პოლიტიკაზე და არა აშშ თავდაცვის არქიტექტურაზე. შესატყვისია სასწავლო კურსის ლიტერატურაც. აღნიშნული სილაბუსის მსგავსი ფორმით შექმნა როგორც ჩანს შეესატყვისებოდა მომიჯნავე ქართულენოვან პროგრამას, სადაც საერთაშორისო პოლიტიკა (და თავისთავად, საგარეო პოლიტიკაც) და უსაფრთხოება წარმოდგენილი იყო მოდულების სახით. ასევე, შეკითხვას ბადებს აღნიშნული სილაბუსის სწავლების საფეხურთან შესაბამისობა. **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსის „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა“ სათაური და სილაბუსი გახდეს აშშ-ს თავდაცვის არქიტექტურის სპეციფიკაზე ორიენტირებული უსაფრთხოების კვლევევის დარგის სპეციფიკის, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების ლიტერატურაში ხშირად გამოყენებულია მოძველებული ლიტერატურა. როგორც ძირითად, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებულია რიდერები, რომლებიც სტანდარტულად მომზადებულია 2019წელს. რიდერების მომზადების პრაქტიკა დადებითი მახასიათებელია, თუმცა რიდერები უნდა იყოს განახლებადი და გათვალისწინებულ უნდა იქნას რიდერისა და სხვა ტიპის ლიტერატურის თანაფარდობის ადეკვატურობა. მაგ., სასწავლო კურსის „თავდაცვის რესურსების მართვა“ ძირითადი ლიტერატურა დაფუძნებულია მხოლოდ რიდერზე. ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირდება გამოყენებული ლიტერატურის სიმწირე. მაგ., სასწავლო კურსის „ომი, მშვიდობა და უსაფრთხოების პოლიტიკა“ მე-13 კვირა ეთმობა საქართველოს მაგალითის განხილვას ჰიბრიდულ გამოწვევებთან მიმართებაში. საკითხის ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ ჯოზეფ ნაის 2009 წლის სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰიბრიდულ გამოწვევებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს და თავად ნაის წიგნიც 2017 წელს განახლდა (ახალი თანაავტორის მონაწილეობით).

მრავალფეროვანი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და ლიტერატურის მუდმივი განახლება და მიმდინარე გამოწვევებთან მისადაგება მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკიდან და თავად სასწავლო კურსების სფეციფიკიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სილაბუსების ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი სხვადასხვა მუდმივად განახლებადი და საჯარო წვდომის ონლაინ მასალები (საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და ქვეგვერდები, ანალიტიკური ორგანიზაციების გვერდები („think tanks“), საერთაშორისო მედია აუთლეტები...), რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და შესაბამისი იქნებოდა დარგის სპეციფიკასთან, საგანმანათლებლო საფეხურთან და სასწავლო კურსების შეფასების სისტემასთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით.

სასწავლო კურსების კვირების მიხედვით გაწერილი თემატიკა ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ სათაურით, რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აჩენს შეკითხვებს. მაგალითად, პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კომპონენტი - ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში, რომელსაც წინაპირობად რომელიმე სხვა სასწავლო კომპონენტი განსაზღვრული არ აქვს. შესაბამისად, სტუდენტი ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივ, ფილოსოფიურ თუ სხვა ასპექტში ცოდნას იღებს ამ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში. წარმოდგენილი სილაბუსში მითითებული თემატიკა სასწავლო კვირების მიხედვით კი მეტად ზოგადია. იმის გათვალისწინებით, რომ სილაბუსის ფორმისა და შინაარსის თაობაზე კონკრეტული საკანონმდებლო შეზღუდვები ან/და მოთხოვნები

დადგენილი არ არის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავისუფალია სილაბუსის ფორმისა და შინაარსობრივი კომპონენტების განსაზღვრაში. თუმცა დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სილაბუსის არსებობის მთავარი მიზანია კონკრეტული სასწავლო კომპონენტის თაობაზე სტუდენტის ინფორმირება, პირველ რიგში, ამ საგნის ფარგლებში დასაფარი სასწავლო თემატიკის თაობაზე, სასწავლო ლიტერატურისა და მისი ცოდნის შეფასების ფორმების შესახებ. შესაბამისად, სასურველია, სილაბუსში უფრო მეტად დაკონკრეტდეს სასწავლო კვირებზე გადანაწილებული განსახილველი თემატიკის ფარგლებში ის საკითხები, რის თაობაზეც ლექციაზე უნდა შედგეს მსჯელობა. ამასთან, უსდ-ს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სილაბუსებში მითითებულია ლიტერატურიდან შესაბამისი გვერდები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს წარმოდგენა შეიქმნას ლექციის ფარგლებში კონკრეტული თემის განხილვის ჭრილებზე, არასაკმარისია. როცა პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგი ფორმულირებულია იმგვარად, რომ კურსდამთავრებულს ექნება „ინფორმაციის თავმოყრის, დასკვნების ფორმულირების, გაცვლის და კომუნიკაციის ენის შესაფერისი ფორმატის შერჩევის უნარი განსხვავებული აუდიტორიის მიხედვით," არასასურველია, მითუმეტეს სამაგისტრო სწავლების საფეხურზე, მაგისტრანტის შეზღუდვა კონკრეტული ლიტერატურის გვერდების მითითებით, ამ ლიტერატურაში მოცემული მსჯელობის ფარგლებით. პირიქითა ფორმატი, კერძოდ, სილაბუსებში განსახილველი თემატიკის მეტად დაკონკრეტება და ამ თემატიკის გარშემო ანალიტიკური თუ სამეცნიერო წყაროების ნაწილში ფართო არეალის მიცემა სტუდენტებისათვის (კონკრეტული გვერდების დაკონკრეტების გარეშე) უზრუნველყოფს ზემოხსენებული უნარის გამომუშავებას, ვინაიდან სწორედ ამ გზით უნდა ისწავლოს მაგისტრანტმა, დღევანდელი მოცემულობით, ერთის მხრივ, ინფორმაციის უამრავ წყაროში გზის გაკვალვა და მისთვის საინტერესო და რელევანტურის შერჩევა და მეორეს მხრივ, ამ წყაროებში ასახული თეორიის, ფაქტებისა და მსჯელობის მისადაგება მის წინაშე დასმულ თემატიკასთან, შესაბამისი არგუმენტებითა და დასაბუთებით. მსგავსი ტიპის პრობლემები ფიქსირდება სხვა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებშიც. შესაბამისად, **სასურველია,** სილაბუსების ფორმატი უფრო მეტად ინფორმატიული ან/და კონკრეტული იყოს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დასაფარ თემატიკასთან მიმართებით.

სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილი ფორმულირებულია იმგვარად, რომ მოიცავს დარგობრივ უნარებს და მოიაზრებს ტრანსფერულ უნარებს. აღსანიშნავია, რომ ტრანსფერული უნარები არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი შედეგებში. მაგალითად, თითქმის არც ერთ სილაბუსში არ ფიქსირდება პრეზენტირების ან წერის უნარი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სილაბუსში უნიფიცირებულად სავალდებულოა პრეზენტაცია/რეფერატი, ასევე ბერვ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდად გამოიყენება ანალიტიკური ესსეები. **რეკომენდებულია,** მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- მომიჯნავე პროგრამის კვლევები
- უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა" სათაური და სილაბუსი გახდეს აშშ-ს თავდაცვის არქიტექტურის სპეციფიკაზე ორიენტირებული უსაფრთხოების კვლევევის დარგის სპეციფიკის, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით.

რეკომენდებულია, პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლდეს და გამრავალფეროვანდეს ლიტერატურა ახალი გამოცემებით და საჯარო წვდომის განახლებადი მასალებით.

რეკომენდირებულია, მოხდეს სასწავლო კურსების შედეგების უნარების ნაწილების

რეფორმულირება და მკაფიოდ გამოიკვეთოს ტრანსფერული უნარები სილაბუსების შინაარსისა და შეფასების მეთოდების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ იყოს უნიფიცირებული და კრედიტები განისაზღვროს სასწავლო კურსის შინაარსისა და მოცულობის შესაბამისად. **სასურველია,** სასწავლო კურსების შეფასების კითხვარებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივი ცოდნის გადაცემის გაზომვადობაზე და გადამოწმდეს სასწავლო კურსები რამდენად გადის ამა თუ იმ საკითხის ღრმა და სისტემურ ცოდნაზე. **სასურველია,** სილაბუსების ფორმატი უფრო მეტად ინფორმატიული ან/და კონკრეტული იყოს სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დასაფარ თემატიკასთან მიმართებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტთა აუცილებელი პრაქტიკული უნარების განვითარებას. მაგისტრანტების კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო კურსი „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ და სამაგისტრო ნაშრომი უსაფრთხოების სწავლებებში. ასევე, პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტი კეთდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში და თავად პროგრამის სწავლის შედეგებში, რაც მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკიდან და სწაველების საფეხურიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ შეფასების კომპონენტები ისეთივე უნიფიცირებულია, როგორც სხვა ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში (ყოველკვირეული ქვიზი, ღია კითხვებსა და ესსეზე დაფუძნებული შუალედური და ფინალური გამოცდები, პრეზენტაცია რეფერატის წარმოდგენით), რაც აჩენს შეკითხვებს აღნიშნული სასწავლო კურსის დახმარებით სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების თაობაზე. სხვადასხვა სილაბუსების სწავლის

შედეგებში ხაზგასმული პრაქტიკული უნარების გამომუშავება (მაგ.: „რესურსების ფაქტორის გათვალისწინებით საფრთხეზე რეაგირების ხარისხის განსაზღვრის უნარი (მათ შორის ძალთა სტრუქტურა და შესაძლებლობები) და სამართლებრივი და ნორმატიულ/რეგულატორული მექანიზმების გამოყენების უნარი სექტორული პოლიტიკის განსაზღვრის ან სამართლებრივი ქეისების დროს“, „სადაზვერვო ანალიტიკური საქმიანობის ტიპების დადგენისა და ტექნიკის გამოყენების უნარი“, „კონფლიქტში მონაწილეობის და დარეგულირების მოდელირების უნარი“, “კონფლიქტების დარეგულირების პროცესის და სამშვიდობო მოლაპარაკებების მექანიზმების ეფექტურობის შესახებ დებატებში მონაწილეობის უნარი“, „დაგეგმვის, პროგრამირების და ბიუჯეტირების კონკრეტული მექანიზმების გამოყენების უნარი“ და სხვ.) ასევე აჩენს შეკითხვებს მიღწევადობის თვალსაზრისით და ქმნის აუცილებლობას, სასწავლო კურსების სილაბუსებში მეტი აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელ აქტივობებზე. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი მომიჯნავე პროგრამის (გლობალური მმართველობის და უსაფრთხოების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა, სადაც იგივე სასწავლო კურსებია წარმოდგენილი) სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად იკვეთება ტენდენცია, რომ პროგრამის მაგისტრანტები და კურსდამთავრებულები გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნევენ პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე აქცენტი კეთდება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევებშიც.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ შეფასების არსებული მეთოდები სრულად შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას; იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლის სწავლის შედეგებში ხაზგასმულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, აქტივობები და შეფასების მეთოდები შეირჩეს ადეკვატურად.

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარების სხვადასხვა კურიკულუმს მიღმა აქტივობებით. კერძოდ, სტუდენტებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატიები უნივერსიტეტის ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში(Caucasus Journal of Social Science). ასევე, სოციალურ მეცნიერებათა სკოლა ასევე გაწევრიანებულია საერთაშორისო ასოციაციაში “პოლიტიკის კვლევების ევროპული კონსორციული” (https://ecpr.eu/), რის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სემინარზე, კონფერენციასა და საერთაშორისო კვლევით პროექტში ჩართვის შესაძლებლობა.

პროგრამის სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ჩაერთონ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო პროექტებში, სადაც მუშაობენ სხვადასხვა კვლევით საკითხებზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის პროცესში სრულად ასახულია ეთიკის ნორმები. მეოთხე სემესტრში გათვალისწინებულია კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან. სტუდენტი აქტიურად იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას თურნიტინი, სადაც ხდება სამაგისტრო ნაშრომის ატვირთვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- მომიჯნავე პროგრამის კვლევები
- შრომის ბაზრის კვლევა; დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანგარიში; მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა
- ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კვლევის დიზაინი და მეთოდები“ შეფასების არსებული მეთოდები სრულად შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი შეფასების ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას; იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლის სწავლის შედეგებში ხაზგასმულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, აქტივობები და შეფასების მეთოდები შეირჩეს ადეკვატურად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: დისკუსია/დებატები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი; მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში; სიმულაცია; კრიტიკული ანალიზი; პრეზენტაციების წარდგენა; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; შემთხვევის შესწავლა და ანალიზი; მოკლე ანალიტიკური ნაშრომები. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და შესაბამისია პროგრამის მეთოდებთან: ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); წიგნსა და წყაროზე მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი (მულტიმედიური საშუალებებით); ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; დისკუსია/დებატები; შემთხვევის ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაში; ელექტრონული სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის ნათლად გამოკვეთილი, როდის და როგორ გამოიყენება ესა თუ ის მეთოდი. **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად იქნას გამოხატული ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობა. აღნიშნული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურს. თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდი ებმის სასწავლო კურსის შინაარს და, ამდენად, პროგრამის ძირითადი სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმს. კონკრეტული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით • უსდ თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში ნათლად იქნას გამოხატული ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
–
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
–
შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება.

უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების სისტემა გამოიყენება სამართლიანად ყველა სტუდენტის მიმართ. პროცედურები გამჭვირვალეა და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

თვითშეფასების გაცნობისა და ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს და განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს. თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების მეთოდები წარმოდგენილია მხოლოდ ქვიზის სახით. ინტერვიუების პროცესში დაზუსტდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ქვიზებში მოიაზრება სიმულაციები, დისკუსიაში მონაწილეობა, საშინაო (პრაქტიკული) დავალებები და სხვა. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში შეფასება ხორციელდება, მხოლოდ ერთი კომპონენტით, ქვიზის სახით. ინტერვიუს პროცესში სტუდენტების უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნებაზე. მნიშვნელოვანია, სილაბუსებში გადაიხედოს ყოველკვირეული შეფასების მეთოდები და განისაზღვროს თემატიკის შესაბამისი კომპონენტები, რათა სტუდენტებს განუვითარდეთ როგორც წერითი, ასევე ვერბალური და სხვა უნარები. **რეკომენდებულია,** სილაბუსებში შეირჩეს სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისი არაუნიფიცირებული შეფასების კომპონენტები და გაიწეროს ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შუალედური და ფინალური შეფასების გზით. სასწავლო კურების სილაბუსებში წარმოდგენილი 100 ქულიანი შეფასების სისტემა გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ლექცია (ქვიზი) 24 ქულა 24%;

პრეზენტაცია/წერითი 16 ქულა 16% (მინიმალური 0 ქულა);

- პრეზენტაცია - 40%, საპრეზენტაციო თემა 60%

შენიშნვა: თითოეულ კომპონენტში სავალდებულოა მინიმუმის გადალახვა. წინააღმდეგ

შემთხვევაში განულდება მთლიანი შეფასების ქულა

დასკვნითი გამოცდა 35 ქულა 35%;

შუალედური 25 ქულა 25%.

სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე - მეოთხე სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპებია:

სამაგისტრო ნაშრომზე/პროექტზე აკადემიური რეგისტრაცია

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის წარდგენა და დაცვა

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა

გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი იტვირთება პლაგიატზე შესამოწმებლად (გამოყენებულია პროგრამა Turnitin). ხელმძღვანელი ამოწმებს ნაშრომს (დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლი - 15%) და ადგენს შესაბამისობას საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნებთან.

სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, ასევე უსდ-ს თვითშეფასების გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სტუდენტები სემესტრის განმავლობაში იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ხშირ შემთხვევაში, პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტებთან ინდივიდუალურად განიხილავენ მიღებულ შედეგებსა და გასცემენ შესაბამის რეკომენდაციებს როგორც პირისპირ, ასევე ელექტრონული სწავლების ონლაინ პლატფორმის - „ჩემი UG-ის“ საშუალებით. აღნიშნულ პლატფორმაზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს, ონლაინ დაწერონ განცხადებები და მიიღონ სხვადასხვა სერვისები.

ასევე, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სისტემატურად ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ ცდილობს მაქსიმალურად გაითვალისწინოს შეფასების შედეგები, გაანალიზოს ისინი და ასახოს ცვლილებები შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრატურის სწავლების დებულება
- ნაშრომის დაცვის დებულება
- გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომები
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სილაბუსებში შეირჩეს სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების კომპონენტები და გაიწეროს ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტს შეუფერხებლად მიეწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში სკოლის დირექტორის, დეპარტამენტის უფროსის, პროგრამის ხელმძღვანელის, ან/და სკოლის მენეჯერებისგან.

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებსა და სასწავლო გეგმაზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის „ჩემი UG-ის“ მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო და აკადემიურ აქტივობებში ჩართვის. ისინი ინფორმირებულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და კვლევების შესახებ. ასევე, აქვთ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სტაჟირებაზე. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, მუდმივ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან. მათ შორის, ლექტორთა დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია საკონსულტაციო დატვირთვა. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში. უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. უნივერსიტეტში შექმნილი გარემო სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების სტანდარტის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის სილაბუსები; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს სამაგისტრო სწავლების დებულება და ნაშრომის დაცვის დებულება. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. ამჟამად არსებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია სრულებით შეესაბამება უსაფრთხოების სწავლებების კვლევის მიმართულებას. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხორციელდება ხელმძღვანელის უშუალო კონსულტირებითა და მონიტორინგით. თემის ხელმძღვანელებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. მომიჯნავე პროგრამის გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების წესს. **სასურველია,** მაგისტრანტებთან მეტი მუშაობა და მათი ინფორმირება ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სამაგისტრო სწავლების დებულება;

• ნაშრომის დაცვის დებულება; • ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** მაგისტრანტებთან მეტი მუშაობა და მათი ინფორმირება ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების საკითხებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უსაფრთხოების დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია საქართველოში და აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირების პროცესში. უსაფრთხოების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 20 პერსონალი. აქედან, 6 არის აფილირებული ასორცირებული პროფესორი, ხოლო 14 - მოწვეული აკადემიური პერსონალი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამას მდგრადობის პრობლემას არ ქმნის. პერსონალის კვალიფიკაცია დარგთან მიმართებით დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით და ჩატარებული ინტერვიუებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასთან უსდ-ში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი“, მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს. ასევე, უსდ-ში მოქმედებს დადგენილება „საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტში საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებიდან, ზემოთ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ უსაფრთხოების სწავლებები სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უსდ თვითშეფასების ანგარიში ▪ პერსონალის დებულება ▪ პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობების აღწერილობა ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ▪ ჩატარებული ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ. ასევე, უსდ აანალიზებს პერსონალის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და გარკვეული პერიოდულობით ახდენს პერსონალის ატესტაციას. პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია ფაკულტეტის სკოლის მიერ, რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და უსდ უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით (სამეცნიერო, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.) გარდა სკოლის ადმინისტრაციისა და ხარისხის განვითარების სამსახურისა, პერსონალის განვითარების პროცესში ჩართულია უსდ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. უსდ-ში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მემორანდუმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ). უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელობით ხორციელდება ის კვლევითი პროექტები, რომელთა დაფინანსება დადასტურდება უნივერსიტეტის ან შესაბამისი სკოლის მიერ. უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა საგრანტო სქემა. აკადემიურმა პერსონალმა შეიძლება მიიღოს გრანტი მაღალ რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების მიზნით. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უსდ უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების ანგარიში • პერსონალის დებულება • მემორანდუმები და საერთაშორისო მემორანდუმები • პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები • სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამუშაოს აღწერილობა • ჩატარებული ინტერვიუები • უსდ ვებგვერდი www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. რესურსების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ კონკრეტულ სემესტრში მოქმედი სასწავლო კურსის მასალები ატვირთულია უნივერსიტეტის პორტალზე. საბიბლიოთეკო რესურსები მუდმივად განახლებადია საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საპრეზიდენტო ბიბლიოთეკასთან და სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ იქ დაცული მასალები.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით. უსდ ბიბლიოთეკა ფლობს რამდენიმე სამეცნიერო ბაზასთან წვდომას (JSTOR, EBSCO, SCOPUS და სხვ.) აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში უსდ-მა განახორციელა ცვლილებები ბაზებთან წვდომასთან დაკავშირებით და სტუდენტებს მისცა იმეილით სახლიდან ბაზებზე წვდომის საშუალება, რაც მისასალმებელია. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ: სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, თავისუფალი სივრცეები. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბლიოთეკო და უსდ მატერიალურ რესურსებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- უსდ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსაფრთხოების სწავლებები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სკოლის ბიუჯეტიდან.

წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში გაწერილია: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; ლიტერატურის განახლება; სარეკლამო ხარჯები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები.

პროგრამა ახალია და შესაბამისად, წარმოდგენილი ბიუჯეტი ეფუძნება მხოლოდ წინასწარ გათვლებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ უსდ ადმინისტრაცია დაინტერესებულია პროგრამის მდგრადობით. უსდ ფლობს მექანიზმებს, საჭიროების შემთხვევაში პროგრამას ფინანსური დახმარება გაუწიოს სკოლის ან უსდ-ს ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან.

დასკვნის სახით, პროგრამა არის ფინანსურად მდგრადი და უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ საქართველოს უნივერსტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს PDCA ციკლზე დაყრდნობით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელზე დაყრდნობით ასევე განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავება. თვითშეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს თანახმად, უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოწესრიგებულია სხვადასხვა შიდა აქტებით, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დებულება. დებულებით მოწესრიგებულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავების, განხორციელებისა და გაუქმების, ასევე მისი განვითარების მექანიზმები.

„პროგრამის დებულების“ მე-5 თავით განსაზღვრულია პროგრამის შეფასების **პირდაპირი** *(ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი), რეფერატი ან სხვა ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა, რომელიც ითვალისწინებს პრეზენტაციას, შუალედური გამოცდა/კოლოქვიუმი, პრაქტიკული უნარების შეფასება, კურაცია, სტაჟირება, იმიტირებული პროცესი, სემინარი, ინდივიდუალური ან გუნდური აქტივობა (პროექტი), დასკვნითი გამოცდა, სამაგისტრო ნაშრომი, სტუდენტების გამოკითხვა)* და **არაპირდაპირი** *(დამსაქმებლების კითხვარი, კურსდამთავრებულების კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი, კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა (მაგისტრები), საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი, ბაზრის კვლევა)* მექანიზმები.

სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, უნივერსიტეტში მოქმედი სპეციალური შიდა ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით (My UG). გამოკითხვაში მონაწილეობა არასავალდებულოა და ანონიმური. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ასევე ხორციელდება თავად პერსონალის კვლევა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რისთვისაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები, რომლის გამოყენება ასევე ხორციელდება ზემოხსენებული პლატფორმის მეშვეობით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის, განხორციელდა ზემოხსენებული

არაპირდაპირი მექანიზმებით შესაბამისი სამიზნე აუდიტორიების კვლევა, რომლის დამადასტურებელი ანგარიშების თან ერთვის თვითშეფასების განაცხადს.

თვითშეფასების განაცხადის თანახმად, „ვინაიდან პროგრამა ახალია და არ ჰყავს სტუდენტი, პროგრამის შემუშავების პროცესში თვითშეფასების გუნდი დაეყრდნო სამიზნე ნიშნულებისა და სწავლის შედეგების შეფასების თვალსაზრისით მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის პირდაპირი შეფასების შედეგებს.“ (გვ. 36).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, უსაფრთხოების სწავლებების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, რომელიც, თვითშეფასების განაცხადის თანახმად, შეიქმნა უნივერსიტეტში მოქმედი ქართულენოვანი გლობალური და უსაფრთოხებების სწავლებების სამაგისტრო პროგრამის გაყოფის შედეგად. როგორც აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში დადგინდა, ზემოხსენებული პროგრამა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგების საფუძველზე, გაიყო ორ პროგრამად და ორივე მათგანი, საიდანაც ერთ-ერთს სწორედ უსაფრთხოების სწავლებები წარმოადგენს, წარდგენილია სააკრედიტაციოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუმცა არც თვითშეფასების განაცხადით, არც თანდართული დოკუმენტაციით და არც ინტერვიუს ფარგლებში სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით არ იკვეთება, უნივერსიტეტმა პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში წარმოდგენილი შეფასებებისა და კვლევების საფუძველზე განახორციელა თუ არა მიღებული შედეგების ანალიზი და ამ ანალიზმა რა გავლენა მოახდინა პროგრამის შინაარსსა თუ აგებულებაზე. ამასთან, სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან განხორციელებულმა ინტერვიუმ ნაკლებად გამოკვეთა ის ფაქტი, რომ ისინი იცნობენ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს და მონაწილეობენ ამ პროცესებში. უფრო მეტიც, ინტერვიუს პროცესი მოწვეულ პერსონალთან ფაქტობრივად ვერ შედგა იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პირებიდან, ორი საერთოდ არ იყო იმ სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი, რომლებსაც მოიცავს პროგრამის კურიკულუმი. შესაბამისად, პროცედურების დაცვის მიზნით, მათ სესია დატოვეს. ის პირები, კი ვინც დარჩნენ ინტერვიუზე დასასწრებად, არ იცნობდნენ იმ სასწავლო კომპონენტის სილაბუსს, რომელშიც განმახორციელებლად მითითებული იყო მათი სახელი და გვარი. ამასთან, როგორც დადგინდა, ისინი სხვა სასწავლო კომპონენტს უძღვებოდნენ მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ახალ პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განხორციელების მიზნით, აპირებდნენ წარმოდგენილი სილაბუსის გადამუშავებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების ანალიზის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით, შესაძლებელია შეფასების გაკეთება, რომ დაწესებულებაში შექმნილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა მექანიზმთა ერთიანობას და რომლისთვისაც განსაზღვრულია მათი პრაქტიკაში დანერგვისა და განხორციელების, შესაბამის შედეგებზე რეაგირების გზები. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ამ მექანიზმების გამოყენების ფორმალური შესაბამისობაც. თუმცა **რეკომენდებულია,** ხარისხის უზრუნველყოფის ის კულტურა, რაც დადგენილი აქვს დაწესებულებას, გაზიარებული იქნეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შესაბამისი შეფასებებისა თუ კვლევების შედეგები გაანალიზდეს და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, იმსჯელონ პროგრამის სუსტ და ძლიერ

მხარეებზე, დაგეგმონ შემდგომი ღონისძიებები პროგრამის განვითარების მიზნით და ამ ღონისძიებათა განხორციელებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება • ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვებისა და შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია • თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული სხვა დოკუმენტაცია • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები **რეკომენდებულია,** ხარისხის უზრუნველყოფის ის კულტურა, რაც დადგენილი აქვს დაწესებულებას, გაზიარებული იქნეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შესაბამისი შეფასებებისა თუ კვლევების შედეგები გაანალიზდეს და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, იმსჯელონ პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, დაგეგმონ შემდგომი ღონისძიებები, პროგრამის განვითარების მიზნით და ამ ღონისძიებათა განხორციელებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება უცხოელი ექსპერტის, ბილეფელდის უნივერსიტეტის მკვლევარის მიერ. თუმცა არც არც თვითშეფასების განაცხადითა და არც თანდართული დოკუმენტაციით არ დგინდება გარე

შეფასების კონკრეტული რა ასპექტები გაითვალისწინა დაწესებულებამ პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში და რა გავლენა იქონია გარე ექსპერტის რეკომენდაციებმა პროგრამის კურიკულუმზე, შეიცვალა თუ არა კონკრეტული სასწავლო კომპონენტების შინაარსი მიღებული რჩევების გათვალისწინებით და ა.შ. გარე შეფასების დოკუმენტიდან იკვეთება, რომ ექსპერტის მოსაზრებით, რამდენადაც მისთვის წარდგენილი პროგრამის განხორციელების ენად მითითებული იყო ქართული, მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამის განხორციელება ინგლისურ ენაზე. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა არის ინგლისურენოვანი. ამასთან, ინტერვიუს პროცესში, დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გლობალური და უსაფრთოხებების სწავლებების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, უსაფრთხოების სწავლების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი ისედაც ხორციელდებოდა ცალკე კონცენტრაციის სახით და პროგრამა ფაქტობრივად ტექნიკურად გამოეყო მოქმედ სამაგისტრო პროგრამას და დაიწყო შესაბამისი პროცედურები, მისი ცალკე პროგრამად განხორციელების მიზნით. სასურველი იქნებოდა, უფრო მეტად ყოფილიყო გამოკვეთილი გარე შეფასების გავლენა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაზე. **სასურველია,** გარე შეფასების განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებამ მეტად გამოკვეთოს ამ შეფასების შედეგების გავლენა პროგრამის შინაარსზე და წარმოდგენილი იქნეს დასაბუთება, ექსპერტის რა რჩევები და რეკომენდაციები იქნა გაზიარებული ან არ გაზიარდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია • გარე შეფასების დოკუმენტი • ინტერვიუს შედეგები •
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** გარე შეფასების განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებამ მეტად გამოკვეთოს ამ შეფასების შედეგების გავლენა პროგრამის შინაარსზე და წარმოდგენილი იქნეს დასაბუთება, ექსპერტის რა რჩევები და რეკომენდაციები იქნა გაზიარებული ან არ გაზიარდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა - უსაფრთხოების სწავლებები შეიქმნა გლობალური და უსაფრთოხებების სწავლებების ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის გაყოფის შედეგად. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება გულისხმობს მთელი რიგი საფეხურების განხორციელებას, მათ შორის,

- შრომის ბაზრის კვლევა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ დასაქმების ბაზრის კვლევას, ხოლო მეორეს მხრივ კურსდამთავრებულთა პოტენციური დასაქმების სფეროების და დამსაქმებლების კვლევას
- პროგრამასთან შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება
- დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კონიუნქტურის და დამოკიდებულებების შესწავლა (თუ საქმე ეხება არსებული პროგრამის განახლებას/მოდიფიცირებას)
- არსებული სტუდენტების დამოკიდებულებების შესწავლა (თუ საქმე ეხება მოქმედი პროგრამის განახლებას/მოდიფიცირებას)

„პროგრამის დებულების“ მე-5 თავი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარებისათვის შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებს. არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები გულისხმობს დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას, ასევე დასაქმების ბაზრის კვლევას. ამ კვლევების შედეგები შესაძლოა შემდგომ საფუძვლად დაედოს პროგრამის მოდიფიცირებას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

თვითშეფასების განაცხადზე თანდართულ სხვადასხვა კვლევით დოკუმენტებს შორის (ანალოგი პროგრამების ანალიზი, დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლების კვლევა, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კვლევა), წარმოდგენილია 2019 წლის დასაქმების ბაზრის კვლევა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, ვინაიდან საკრედიტაციოდ მზადების პროცესში დამსაქმებლებთან კომუნიკაცია ინტენსიურად მიმდინარეობდა, გამოიკვეთა, რომ 2019 წელს ჩატარებული კვლევის შემდგომ დასაქმების ბაზრის ტენდენციები და მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად არ შეცვლილა. შესაბამისად, დაწესებულებას ხელახალი კვლევა აღარ განუხორციელებია.[3] დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს მოქმედი პროგრამის, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა, სამიზნე

[3] ერთის მხრივ, COVID -19 ვირუსით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის, მეორეს მხრივ, ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტნიორ ქვეყანაში არსებული საომარი ვითარების გათვალისწინებით, კითხვის ნიშნებს აჩენს ვითარება, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნები 2019 წლის შემდგომ არშეცვლილა და პროგრამა ამ კუთხით განახლებას არ საჭიროებს.

ნიშნულები და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკა.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგების მიხედვით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ინტენსიურად ახორციელებს მათი კმაყოფილების კვლევას. სტუდენტების განცხადებით კი, ყოველი სემესტრის დასასრულს შიდა საუნივერსიტეტო პლატფორმის მეშვეობით, ისინი სავალდებულოდ იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში, სადაც ფასდება როგორც პროგრამა, ისე მისი განმახორციელებელი პერსონალი. თუმცა ამ დრომდე არ ყოფილა შემთხვევა, როცა მათ შენიშვნა და დამატებითი შეთავაზება ჰქონდათ უნივერსიტეტისადმი. თვითშეფასების განაცხადს თან ერთვის დამსაქმებლების კვლევა.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაზე მუშაობის პროცესში, დაწესებულებამ მოიძია და შეისწავლა მსგავსი პროგრამები უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში, გაანალიზდა ამ პროგრამების საერთო და განმასხვავებელი მხარეები როგორც ერთმანეთთან, ისე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუ შედგა დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან. არც ერთ მათგანს ოფიციალური შეთანხმება, მემორანდუმი ან რაიმე ტიპის დოკუმენტი უნივერსიტეტთან გაფორმებული არ აქვს თანამშრომლობის შესახებ, თუმცა ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ ოფიციალური სტაჟირების პროგრამებით საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები მათთან მონაწილეობენ და დასაქმებულიც ჰყავთ. ყველა მათგანმა ხაზი გაუსვა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელობას საგანმანათლებლო სივრცეში და ამ პროგრამების კურსდამთავრებულების არსებობას ბაზარზე. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამას კურიკულუმისა და შინაარსის ჭრილში ისინი არ იცნობდნენ და არც მისი შემუშავების პროცესში არ მიუღიათ მონაწილეობა კონკრეტული წინდადებებისა თუ რჩევების წარდგენის გზით. ამასთან, დამსაქმებელთა განცხადებით, სტაჟირების პროცესში თუ დასაქმების შემდგომ, ისინი თავადაც უზრუნველყოფენ დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას კონკრეტული პრაქტიკული საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე.

მთლიანობაში, დაწესებულებას აქვს პროგრამის მონიტორინგისა და ამ მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამის განვითარებისათვის საჭირო პროცესების განმსაზღვრელი რეგულაციები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია PDCA ციკლის ფარგლებში პროგრამების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ეფექტიანი სამუშაო პროცესის წარმართვისათვის. სწორედ მონიტორინგი წარმოადგენს უსდ-სთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს მისიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე. შესაბამისად, სასურველია, რომ დაწესებულებამ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისათვის უფრო მეტად გამოიყენოს პროგრამის პერიოდული შეფასებისა და მონიტორინგის ღონისძიებები, მათ შორის, მეტად უზრუნველყოს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და გარკვეული პერიოდულობით, პროგრამის კურიკულუმსა თუ კონკრეტულ სასწავლო კომპონენტებზე მათგან უკუკავშირის მიღება სწავლის სფეროს და პრაქტიკული გარემოებების გათვალისწინებით. **სასურველია,** უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში და მიიღოს მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები. ამ მიმართულებით ძალზე რთულია დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, მათთან ოფიციალური შეთანხმებების გაფორმება და მათ მიერ რაიმე ტიპის ვალდებულების აღება, მით უფრო დასაქმების ნაწილში, თუმცა თუკი უნივერსიტეტს სურს ამ კატეგორიის საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელება, შესაბამისად, აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს ერთის მხრივ, აკრედიტაციის სტანდარტების, ხოლო მეორეს მხრივ, დამსაქმებელთა მოთხოვნებს, რათა კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ ის ცოდნა და უნარები, რაც მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, აუცილებელია, დამსაქმებლები არამხოლოდ ზოგადად მიესალმებოდნენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობას, არამედ მეტად ჩართოს უნივერსიტეტმა ამ პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვაში და მიიღოს მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები. იგივე უზრუნველყოს სამომავლოდ, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სამიზნე აუდიტორიის ფარგლებში. ამასთან, **სასურველია,** ერთის მხრივ, პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების მეტად სიღრმისეულად განხორციელება სწავლის სფეროსა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების მიზნით და მეორეს მხრივ, ამ კვლევების შედეგების ანალიტიკური მხარის გაძლიერება. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ გარე შეფასების ხელშეწყობისა და სრულყოფილად წარმართვისათვის, არამედ მაქსიმალურად ინფორმირებული და გაანალიზებული შიდა გადაწყვეტილებების მიღებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები და შეფასებები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **სასურველია,** უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შინაარსის განსაზღვრაში, კონკრეტული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში და მიიღოს მათგან პრაქტიკული რეკომენდაციები და რჩევები. **სასურველია,** ერთის მხრივ, პროგრამის შეფასების მიზნით განხორციელებული კვლევების მეტად სიღრმისეულად განხორციელება სწავლის სფეროსა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების მიზნით და მეორეს მხრივ, ამ კვლევების შედეგების ანალიტიკური მხარის გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
უსაფრთოხების სწავლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - დავით გეგეჭკორი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ჯოვანა აბლოთია

სახელი, გვარი, ხელმოწერა - სოფიო უგრეხელიძე